ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულება N

[თარიღი]

დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი:
▪ დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
▪ დეპოზიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: --%
▪ დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- %

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:
▪ დეპოზიტის თანხა: [ვალუტა]
▪ დეპოზიტის ვადა: [---] დღე
▪ დეპოზიტის დასრულების თარიღი: დდ/თთ/წწ
▪ თანხა, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი: საპროცენტო სარგებელი ერიცხება მხოლოდ ვადიანი დეპოზიტის თანხას, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანხის გამოკლებით.
▪ვადიანი დეპოზიტის მინიმალური მოცულობა: 100 ლარი/50 აშშ დოლარი.
▪ვადიანი დეპოზიტის მაქსიმალური მოცულობა: 50 000 ლარი (აშშ დოლარში მისი ეკვივალენტი).
▪ვადიანი დეპოზიტის ვადამდე შეწყვეტისას სარგებლის დარიცხვის წესი: ვადიანი დეპოზიტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, დეპოზიტს გახსნიდან მისი შეწყვეტის/დარღვევის თარიღამდე (ფაქტობრივი განთავსების ვადაზე) დაერიცხება შეწყვეტის/დარღვევის მომენტში მიკრობანკში მოთხოვნამდე დეპოზიტზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად დაანგარიშებული სარგებელი. თუ დეპოზიტორს სარგებელი უკვე გატანილი აქვს, საპროცენტო სარგებლის თანხის ნაწილის დაკავება მოხდება დეპოზიტის თანხიდან.

დეპოზიტორს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება, რის შესახებაც მიკრობანკს უნდა შეატყობინოს 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე.

დეპოზიტორის მიერ დეპოზიტის თანხის მიღების მოთხოვნიდან/დეპოზიტის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა, მიკრობანკი უზრუნველყოფს დეპოზიტის თანხის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დეპოზიტორისთვის გადაცემას/დეპოზიტორის ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხვას/ასახვას.

▪ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, დეპოზიტორის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, წერილობით, ელექტრონული ფოსტის/ინტერნეტბანკის/მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით.

უცხოურ ვალუტაში გახსნილი დეპოზიტის შემთხვევაში:

დეპოზიტის ეროვნულ ვალუტაში განთავსების შემთხვევაში, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს -- %.

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს!
ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური -- %.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:
▪ თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

▪ მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებგვერდზე http://www.mbc.com.ge/ ან/და ელ. ფოსტაზე complaint@mbc.com.ge.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულება N

ქ. თბილისი **[თარიღი]**

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. მიკრობანკი:	სახელწოდება:	**სს მიკრობანკი „ემბისი“ (შემდგომში „მიკრობანკი“)**
	იურიდიული მისამართი:	**ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, სართული N1, საოფისე ფართი N2**
	წარმომადგენელი:	
	ტელეფონი:	**032 2-50-50-02**
	ელ. ფოსტა:	**info@mbc.com.ge**
	საიდენტიფიკაციო კოდი:	**404967078**
	საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი:	**საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2**
	მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის ნომერი:	**472**
1.2. დეპოზიტორი	სახელი, გვარი/სახელწოდება:	
	დაბადების/რეგისტრაციის თარიღი:	
	ფაქტიური მისამართი:	
	რეგისტრაციის/იურიდიული მისამართი:	
	პასპ/პირად.მოწმობის N/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
	პირადი ნომერი:	
	ტელეფონი:	
	ელ. ფოსტა:	
	წარმომადგენელი:	

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიკრობანკი უზრუნველყოფს დეპოზიტორისთვის ვადიანი დეპოზიტით მომსახურების გაწევას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით დეპოზიტორი, ვადიანი დეპოზიტის გასახსნელად, მიკრობანკს ანიჭებს ამავე ხელშეკრულების 3.5. პუნქტში მითითებული ანგარიშიდან ვადიანი დეპოზიტის თანხის 3.4. პუნქტში მითითებულ სადეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხვის უფლებას.

მუხლი 3. ვადიანი დეპოზიტის პირობები

3.1. ვადიანი დეპოზიტის გახსნის თარიღი:	

3.2. ვადიანი დეპოზიტის თანხა:	
3.3. ვადიანი დეპოზიტის ვადა:	
3.4. ვადიანი დეპოზიტის ანგარიშის ნომერი:	
3.5. ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება ვადიანი დეპოზიტი და საპროცენტო სარგებელი:	
3.6. თანხა, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი:	
3.7. ვადიანი დეპოზიტის მინიმალური მოცულობა და ვალუტა:	100 ლარი/50 აშშ დოლარი
3.8. ვადიანი დეპოზიტის მაქსიმალური მოცულობა და ვალუტა:	50 000 ლარი (აშშ დოლარში მისი ეკვივალენტი)
3.9. ვადიანი დეპოზიტის გატანის წესი:	ვადიანი დეპოზიტის გატანა დასაშვებია ვადიანი დეპოზიტის ვადის ამოწურვის შემდეგ **ან** ვადამდე, რის შესახებაც დეპოზიტორმა მიკრობანკს უნდა შეატყობინოს 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე
3.10. საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი:	საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომდევნო სამუშაო დღიდან და ერიცხება ყოველი დღის ბოლოს სადეპოზიტო ანგარიშზე არსებულ ნაშთს
3.11. საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა:	[ყოველთვიურად] ან [ვადის ბოლოს] ან [ორჯერ, ყოველი წლის ბოლოს]
3.12. ვადიანი დეპოზიტის პროლონგაციის (განახლების) პირობა:	პროლონგაციის (განახლების) უფლების გარეშე

მუხლი 4. ვადიანი დეპოზიტით სარგებლობის პირობები და საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი

4.1. მიკრობანკის შეხედულებისამებრ და ცალმხრივი გადაწყვეტილებით, დეპოზიტის მომსახურებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

4.1.1. დეპოზიტორის მიმდინარე ანგარიში; ან/და

4.1.2. დეპოზიტორის მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიში;

4.1.3. თუ დეპოზიტორს მიკრობანკში გახსნილი არ აქვს მიმდინარე ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიში, ვადიანი დეპოზიტით სარგებლობის მიზნებისთვის, მას მიკრობანკში გაეხსნება მიმდინარე ანგარიში.

4.2. ვადიანი დეპოზიტის ვადის გასვლის/ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა ან/და დასარიცხი/გასაცემი საპროცენტო სარგებელი ჩაირიცხება დეპოზიტორის მიმდინარე/მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშზე.

4.3. სადეპოზიტო ანგარიშზე ვადიანი დეპოზიტის განთავსებით მიკრობანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით ვადიან დეპოზიტს დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი და დააბრუნოს იგი იმავე ვალუტაში.

4.4. დეპოზიტორს, წინამდებარე ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, შეუძლია ნებისმიერ დროს ისარგებლოს დეპოზიტზე თანხის დამატების უფლებით, შემდეგი წინაპირობების დაცვით:

4.4.1. დეპოზიტორის მიერ მიკრობანკში გახსნილი ვადიანი დეპოზიტის თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს ან მის ეკვივალენტს აშშ დოლარში;

4.4.2. მიკრობანკში დეპოზიტორის მიერ გახსნილი დეპოზიტების (ვადიანი ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტი) თანხების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს ან მის ეკვივალენტს აშშ დოლარში;

4.4.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.4.1-4.4.2 პუნქტებით გათვალისწინებული დეპოზიტის თანხის ოდენობის მაქსიმალური მოცულობის გადაჭარბების შემთხვევაში, მიკრობანკი უზრუნველყოფს ნამეტი თანხის დეპოზიტორის მიმდინარე ანგარიშზე გადარიცხვას.

4.5. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხორციელდება იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც გახსნილია ვადიანი დეპოზიტი.

4.6. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან და გრძელდება ვადიანი დეპოზიტის ვადის დასრულების დღის ჩათვლით.

4.7.საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ვადიანი დეპოზიტის სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთ) დღეზე გაანგარიშებით.
4.8. იმ შემთხვევაში, თუ:
4.8.1. დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო მაღალი, ვიდრე დეპოზიტებისთვის საქართველოს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები;
4.8.2. ინფლაციის ზრდის/ ეკონომიკური ვარდნის გავლენით დეპოზიტებისთვის დაწესებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთები შეიცვლება (შემცირდება) 5%-ზე მეტი ოდენობით.
მიკრობანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს) წინამდებარე დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი. ამგვარი ცვლილების შესახებ, მიკრობანკი დეპოზიტორის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე, წერილობით, ელექტრონული ფოსტის/ინტერნეტბანკის/მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით.
4.9. მიკრობანკი დეპოზიტის თანხის (საპროცენტო სარგებლის) გაცემას უზრუნველყოფს ვადიანი დეპოზიტის ვადის გასვლის ან ვადამდე, დეპოზიტორის მოთხოვნის მიღებიდან, არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, თუ გაცემის თარიღი ემთხვევა უქმე ან არასამუშაო დღეს, მიკრობანკი საპროცენტო სარგებლის გაცემას უზრუნველყოფს მომდევნო სამუშაო დღეს.
4.10. ვადიანი დეპოზიტის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, დეპოზიტს გახსნიდან მისი შეწყვეტის/დარღვევის თარიღამდე (ფაქტობრივი განთავსების ვადაზე) დაერიცხება შეწყვეტის/დარღვევის მომენტში მიკრობანკში მოთხოვნამდე დეპოზიტზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად დაანგარიშებული სარგებელი. თუ დეპოზიტორს სარგებელი უკვე გატანილი აქვს, საპროცენტო სარგებლის თანხის ნაწილის დაკავება მოხდება დეპოზიტის თანხიდან.

მუხლი 5. განცხადებები და გარანტიები
5.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დეპოზიტორი ადასტურებს, რომ:
5.1.2.წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მიკრობანკსა და დეპოზიტორს შორის გაფორმებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელსაც გაეცნო და ეთანხმება;
5.1.3. აქვს წინამდებარე ხელშეკრულების დადების და შესრულებისთვის საჭირო უფლებაუნარიანობა;
5.1.3. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხე ექმნება დეპოზიტორის ვალდებულებების შესრულებას, მის ქონებას ან/და აქტივებს;
5.1.4.წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ.
5.2. დეპოზიტორის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულები შეწყვეტისა. ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს ვადიანი დეპოზიტით სარგებლობის უფლების შეწყვეტას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტას.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა
6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის/დადების მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე. ამასთან, ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება დაიდოს დეპოზიტორთან გაფორმებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით გამოხატული თანხმობით.
6.2. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა:
6.2.1. მიკრობანკის მიერ:
6.2.1.1.დეპოზიტორის მხრიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების სრულად და ჯეროვნად განხორციელებამდე/შესრულებამდე;
6.2.1.2. თუ დეპოზიტორი სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს ხელშეკრულებით ან/და მიკრობანკთან დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);
6.2.2. მხარეთა შეთანხმებით;
6.2.3. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.3. თუ მიკრობანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ხელშეკრულება ავტომატურად წყდება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად არ განხორციელდება შესაბამისი თანხის განთავსება სადეპოზიტო ანგარიშზე ან მიუხედავად შესაბამისი თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებისა მიკრობანკი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი თანხის სრული მოცულობით გადატანას - შესაბამისი თანხით დეპოზიტორის მიმართ არსებული მიკრობანკის მოთხოვნების დაკმაყოფილების ან/და შესაბამის თანხაზე გავრცელებული ნებისმიერი სახის სამართლებრივი შეზღუდვის (მათ შორის ინკასო ან/და ყადაღა) გამო.

6.4. მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით, ხელშეკრულების შეწყვეტისთვის განსხვავებული ვადები არ არის გათვალისწინებული.

6.4.1. დეპოზიტორის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, დეპოზიტს, საპროცენტო სარგებელი დაერიცხება წინამდებარე ხელშეკრულების 4.10. პუნქტის შესაბამისად.

6.4.2. მიკრობანკის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ვადიან დეპოზიტს საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ვადიანი დეპოზიტით სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად.

6.5. ხელშეკრულების შეწყვეტით (ვადიანი დეპოზიტის ვადამდე შეწყვეტის/დარღვევის შემთხვევაში), დეპოზიტორის მიკრობანკში არსებული ვადიანი დეპოზიტის ანგარიში იხურება.

6.6. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დეპოზიტორს/მიკრობანკს ხელშეკრულებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

მუხლი 7. პრეტენზიები და დავები

7.1. დეპოზიტორს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე http://www.mbc.com.ge/ ან/და ელ. ფოსტაზე complaint@mbc.com.ge. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით, ნომერზე (032) 2505002, ან უშუალოდ მიკრობანკის შესაბამის სერვის ცენტრში. მომხმარებლისგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

7.2. ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ DRC-ს (ს/კ 204547348); მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, სართ.2, ოფისი 11. ვებგვერდი: WWW.DRC.GE. ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, არბიტრაჟი დავას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნის (დავის საგნის) ღირებულებისა. მხარეებს შორის, ასევე „დავების განმხილველ ცენტრს“ DRC-ს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, ამ შემთხვევაში შეტყობინება განხორციელებულად ჩაითვლება, თუ იგი მხარეს ჩაბარდა ელ. ფოსტის მეშვეობით. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ელ. ფოსტის მისამართზე, ელ. ფოსტის საშუალებით, გაგზავნილი შეტყობინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ ექნებათ.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულება შედგენილია მათთვის გასაგებ ენაზე, ყველა პირობა მათთვის მკაფიო და გასაგებია.

8.2. ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

8.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები ვრცელდება და შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის.

8.5. მიკრობანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დეპოზიტორს უფლება არა აქვს რაიმე ფორმით განკარგოს

(მათ შორის და არა მხოლოდ, გაასხვისოს, გირავნობით დატვირთოს) ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის მინიჭებული ნებისმიერი უფლება ან/და მესამე პირს გადასცეს მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება, აღნიშნული წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან, წინამდებარე დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ დეპოზიტორმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს მიკრობანკის უფლებას მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება.

8.6. დეპოზიტორისთვის ცნობილია, რომ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების დამატებითი ვერსია შედგენილია სხვა ენაზეც, ხელშეკრულების სხვადასხვა ენებზე შედგენილ ვერსიებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულების ვერსიას. ამასთან, ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის კომუნიკაცია წარმოებს იმ ენაზე (ენებზე), რომელ(ებ)ზეც შედგენილია წინამდებარე ხელშეკრულება.

8.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

დეპოზიტორი _____
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

მიკრობანკი _____
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)